# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 21 აპრილი 2006 №89 (2711) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ეროვნულს ტაბუ დაედო

თბილისის მერიამ მაისი დაგვიბარა



## სტიაუამ ბოროს რუმი-ნული გაატანა




## გერმანელ ხუმარებს სევილიაში სერიოზულობა მოუწევთ

# ანჩელოტის ან-ან

### ადრიანო გალიანიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ჩვენს საათზე ჯერაც კარლეტოს დროა

კარლო ანჩელოტის მომავალ ხუთშაბათს მადრიდის „რეალის“ მთავარ მწვრთნელად ოფიციალურად წარადგენენ — დაიჟინეს ნუხელ ესპანურმა სააგენტოებმა, რომლებმაც რადიოსადგური **Cadena cer** დაიმოწმეს. ეტყობა, ესპანელებმა უკვე გამოიტირეს „მილანის“ შანსები „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩის წინ, რაკი ამბობენ, იტალიელ ტაქტიკოსს „რეალში“ ხუთშაბათს წარადგენენო: „ბარსა“ — „მილანი“ ხომ ოთხშაბათსაა.

„მიუხედავად იმისა, რომ ახლახან ანჩელოტიმ „მილანთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა, „რეალს“ ახალი სეზონიდან სწორედ იტალიელი გაწვრთნის“ — იუწყებიან ესპანელები და იქვე დასძენენ, მისი პირველი მოთხოვნა მადრიდულ გრანდში „არსენალის“ ფრანგი თავდამსხმელის, ტიერი ანრის გადაყვანაა და „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტმა ფერნანდო მარტინმაც ლონდონელებთან მოლაპარაკება უკვე წამოიწყოო.

ამ დროს კი, გუშინვე, შემთხვევით თუ საგანგებოდ, პრესკონფერენცია გამართა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ. მან ანჩელოტის მომავალზეც ილაპარაკა და კატეგორიულად უარყო მისი შესაძლო წასვლა გუნდიდან. ჟურნალისტებს კი ისიც შეუძახა, ნეტავ, როდემდე გააგრძელებთ მონაჩმახებით გაზეთების გავსებასო...

პრესკონფერენციის ბოლოს გალიანიმ ასეთი რამაც თქვა, ბარსელონაში „მილანი“ 2:1-ს მოიგებს და ეს არა ოპტიმისტური, არამედ სავსებით რეალისტური პროგნოზიაო.





## ესპანელებმა იტალიელი ბარსელონიდან მადრიდში გაუშვეს


## ვაკანსია

ფარმაცევტული კომპანია „იამანუჩი” აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის თანამდებობაზე; პირობები:

- მამაკაცები 35 წლამდე
- რუსული ენის ფლობა
- თბილისში მცხოვრები
- 1 ფოტოსურათი
- უმაღლესი სამედიცინო განათლება

მისამართი: დავით აღმაშენებლის 148/2
8 99 92 52 22
მიღება 5 მაისამდე

## უეფას თასი 2005-2006
### ნახევარფინალი. პირველი მატჩები. წუხელ



წუხელ „სევილიას“ მეკარე ანდრეს პალოპი კარში მაგრად იდგა

**შალკე (გერმანია) 0:0 სევილია (ესპანეთი)**

შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი (ლინკოლნი 45), კ. პოულსენი, ფ. ერნსტი (ბაირამოვიჩი 74), ასამოა, ლარსენი, გ. ვარელა (კურანი 65)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
სევილია: პალოპი, დანიელ ალვესი, ხავი ნავარო, ესკუდე, დავიდ კასტედო, ხესუს ნავასი, მარესკა, მარტი, პუერტა (ადრიანო კორეირა 82), სავიოლა (ლუის ფაბიანო 61), კანუტი (რენატო 32)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ხავი ნავარო (41), ერნსტი (55)
გაძევება: კრსტაიჩი (80)
მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
53 551 მაყურებელი



რუმინელებმა ინგლისელებს ფეხი არ გააშლევინეს

**სტიაუა (რუმინეთი) 1:0 მიდლსბრო (ინგლისი)**

1:0 დიკა (30)
სტიაუა: ა. კარლოსი, ოგარარუ, გიონია, გოიანი, პ. მარინი, რადოი, ნ. დიკა, ბოსტინა, პარასკივი (ლოვინი 86), ნიკოლიტა, ოპრიტა (კრისტია 89)
მწვრთნელი: აურელიან კოზმინ ოლაროიუ
მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, ეჰიოგუ, ბეიტსი, კედრუ, ჯ. ბოატენგი, როჩემბაკი, დაუნინგი, ჯ. მორისონი (პარლოუ 70), აიეგბენი (მაკარონე 70), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: პარასკივი (33), გოიანი (38), ნიკოლიტა (41), შვარცერი (75), მარინი (89), პარლოუ (90)
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
22 000 მაყურებელი

### შვეიცარია

**სუპერლიგა. XXXI ტური**

ქსამაქსი 1:3 იანგ ბოისი
ბაზელი 3:1 სენტ გალენი
შაფჰაუზენი 2:3 თუნი
ივერდონი 0:1 გრასჰოპერი
ციურიხი 6:0 აარაუ

**ჩელენჯლიგა. XXIX ტური**

ბელინცონა 2:0 ლუგანო
კიასო 1:0 ლოკარნო
კრინსი 4:2 ლოზანა
ვილი 4:3 ვინტერთური
ვოლენი 3:0 სიონი

### ჰოლანდია

**ერედივიზიონი. პლეი ოფი. პირველი მატჩები**

გრონინგენი 3:1 ალკმაარი
აიაქსი 3:0 ფეიენოორდი

### საფრანგეთი

**თასის ნახევარფინალი**

მარსელი 3:0 რენი
ნანტი 1:2 პსჟ

### დანია

**თასის 1/2ფინალი. I მატჩები**

რანდერსი 0:0 ოლბორგი
ესბიერგი 5:2 ბრონდბიუ

### ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. გადადებული მატჩი**

ბრნო 1:0 ბლშანი

### შვედეთი

**ალსვენსკა. გადადებული მატჩები**

ჰალმსტადი 0:1 ელფსბორგი
კალმარი 0:1 იურგორდენი

## ეროვნულს ტაბუ დაედო
### თბილისის მერიამ მაისი დაგვიბარა

**ეროვნულ** სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ 1976 წლის მერე „ბორის პაიჭაძეზე“ ასეთი მასშტაბის სამუშაოები აღარ ჩატარებულა, ბოლო თხუთმეტმა წელიწადმა კი მთლად მოუთავა ხელი ქვეყნის უპირველეს სპორტულ სარბიელს.

თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული კომპანია „დინამო ინვესტი“ იმედს იძლევა, რომ სექტემბრისთვის ეროვნული სტადიონი სრულად განახლდება და მზად იქნება ნებისმიერი რანგის საერთაშორისო მატჩის სამასპინძლოდ.

სადღეისოდ სტადიონზე დემონტაჟი მიმდინარეობს — აიხსნა პლასტმასისა და ხის სკამები, აიყარა მოსაპირკეთებელი ფილები...

სამუშაოებს კომპანია „ნიუ სიტი“ აწარმოებს და მისი წარმომადგენლები ლიად ამ პროცესის ფირზე აღბეჭდვის უფლებას არ იძლევიან — მერიიდან მკაცრად ვართ გაფრთხილებულნიო.

სავარაუდოდ, მერია ამ თემას ტაბუს 3 ან 4 მაისს ახსნის, როცა უკვე მზად იქნება მენეჯმენტ-კონტრაქტი „დინამო ინვესტთან“. მანამ კი, როგორც მერიის, ასევე „დინამო ინვესტისა“ და სპორტკლუბ „დინამოს“ წარმომადგენლები კომენტარისგან თავს იკავებენ.

**გიორგი ნოზაძე**





## საფერავი ჯაკობიასგან
### ლაშამ სტუდენტ გოგონას ჩათვლა დაუწერა

ლაშა ჯაკობია ხარკოველი გულშემატკივრებისთვის არამარტო „მეტალისტის“ კაპიტანი და მეგოლე, არამედ უფრო მეტია — ქართველი ფორვარდი ფანებს ძალიან უყვართ და ეს უკრაინულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. აი, ახალი დასტურიც.

გუშინ „მეტალისტის“ ოფიციალურმა ფანკლუბმა პირველი შეხვედრა მოაწყო და, რა თქმა უნდა, სასურველ სტუმრად ლაშა ამოარჩიეს. ფანკლუბ „შანსონში“ გულშემატკივრები ჯაკობიას მხიარულ თემებზე ესაუბრნენ, აბსოლუტურად ყველა მათგანმა ჩვენიანთან სამახსოვრო ფოტო გადაიღო და ავტოგრაფი მიიღო.

ფანკლუბის ტრადიციით, ლაშას საუკეთესო კითხვის ავტორისთვის ორიგინალური პრიზი უნდა ეჩუქებინა. „მეტალისტის“ ლიდერმაც რჩეულს „საფერავი“ გადასცა.

სხვათა შორის, ერთმა სტუდენტმა გოგონამ ლაშას თავის ჩათვლის წიგნაკზე მოაწერინა ხელი. ხარკოველები გოგონას ფანდს მიუხვდნენ — ლაპარაკიც არ უნდა,



ლექტორები ჯაკობიას ავტოგრაფს რომ დაინახავენ ჩათვლის წიგნაკზე, უფრო იოლად არგუნებენ კარგ ნიშანსო.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი ქუთილაძის ფოტო

# ახალკაცი დიადორას ელაპარაკება

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იტალიაში რამდენიმე დღის წინ ჩავიდნენ და ახლაც იქ არიან.

შევიტყვეთ, რომ ახალკაცი მოლაპარაკებას აწარმოებს სპორტული ინვენტარის მწარმოებელ იტალიურ ფირმა „დიადორასთან“ — იგი საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ტექნიკურ სპონსორს ეძებს და ოპტიმალურ ვარიანტს არჩევს. მანამდე ფედერაციის პრეზიდენტი გერმანულ ფირმა „პუმას“ წარმომადგენლებსაც შეხვდა.

ჩვენების დელეგაცია თბილისში სამშაბათს ან ხუთშაბათს დაბრუნდება, შესაძლოა, მათთან ერთად ჩამოვიდნენ „დიადორას“ წარმომადგენლებიც.

**ლუკა თალაკვაძე**

# ფუტზალმა ფინალი ჩაინიშნა

**საქართველოს** ფუტზალის ასოციაციის პრესცენტრის ცნობით, გაირკვა მიმდინარე პირველობის ფინალური მატჩების თარიღები: „იბერია 2003“ და „ნიკორა“ ერთმანეთს 1 და 4 მაისს შეხვდებიან. ფინალი ორ მოგებამდეა და საჭიროების შემთხვევაში, მესამე მატჩი 8 მაისისთვისაა დაგეგმილი. სამივე დაპირისპირება სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ 14 საათზე დაიწყება.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12თეთრად

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ქალაქის კოდი+აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეთ-მიქსი!

GEO *123#
ჯეთMIXმიქსი

აკრიფეთ
*123*9#YES
და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

## 26 ტური აქცენტები




| | |
|---|---|
| სიონი 1:0 ვიტ ჯორჯია | |
| ლოკომოტივი 0:3 დინამო | |
| ამერი 1:0 სოხუმი | |
| სპარტაკი 3:2 ბორჯომი | |
| დილა 0:1 ზესტაფონი | |
| ტორპედო 4:1 ცხინვალი | |
| კოლხეთი 2:2 კახეთი | |
| ბათუმი 1:0 თბილისი | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 26 | 20 | 4 | 2 | 46:16 | 64 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 18 | 4 | 4 | 48:15 | 58 |
| ზესტაფონი | 26 | 16 | 6 | 4 | 38:19 | 54 |
| ბათუმი | 26 | 16 | 5 | 5 | 38:17 | 53 |
| დინამო | 26 | 16 | 4 | 6 | 44:19 | 52 |
| ბორჯომი | 26 | 16 | 2 | 8 | 45:24 | 50 |
| ამერი | 26 | 15 | 2 | 9 | 31:20 | 47 |
| ლოკომოტივი | 26 | 10 | 4 | 12 | 36:41 | 34 |
| კოლხეთი | 26 | 8 | 5 | 13 | 22:28 | 29 |
| კახეთი | 26 | 8 | 3 | 15 | 28:42 | 27 |
| ტორპედო | 26 | 7 | 6 | 13 | 26:34 | 27 |
| დილა | 26 | 7 | 4 | 15 | 28:37 | 25 |
| ცხინვალი | 26 | 7 | 3 | 16 | 25:51 | 24 |
| სოხუმი | 26 | 5 | 3 | 18 | 23:55 | 18 |
| თბილისი | 26 | 5 | 2 | 19 | 20:43 | 17 |
| სპარტაკი | 26 | 3 | 5 | 18 | 9:47 | 14 |

## პრეზიდენტს თამაშში გარდატეხა შეაქვს



ამირან მამალაძე ბათუმიდან

**ზედიზედ** მეორე ტურია, საქართველოს პრეზიდენტი ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრას ესწრება. შაბათს ბორჯომში სტუმრობისას მიხეილ სააკაშვილის ესკორტი სტადიონს რომ მიადგა, სწორედ მაშინ გაისროლა საგოლედ გონსალო დე პორასმა და პრეზიდენტმა სტადიონზე ბორჯომელების ოვაციების თანხლებით შეაბიჯა. აგერ, გუშინწინ პრეზიდენტი ბათუმს სტუმრობდა და ცოტა ხნით „ბათუმი" — „თბილისის" მატჩიც დააფასა. ეს ცოტა ხანი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ვლადიმერ დვალიშვილს სტუმართა კარში გამარჯვების გოლი გაეტანა.

საფეხბურთო სამყაროში უკვე ლაპარაკობენ, საქართველოს პრეზიდენტს მასპინძელი გუნდისთვის ბედნიერი ფეხი აქვსო.

ვის დააფასებს ბატონი მიხეილი გადამწყვეტ ტურებში?

## ბურთბაცაცობა ავლაბრულად



**ავლაბარში,** „ოლიმპის" სტადიონის ტერიტორიაზე მშენებლობა მიდის. ფეხბურთის კართა უკან დიდი თხრილებია, ერთი თხრილის იქით კი ნანგრევებია შემორჩენილი და ერთგან კედელი ისეა გამონგრეული, რომ სარკმლის ფორმა აქვს. ზორბა კაცი მასში ვერ გაეტევა, მაგრამ ონავარი ბიჭუნებისთვის ეს სარკმელი გაუვალი სულაც არაა.

...ერთი ბიჭუნა თხრილში მოკალათდა, მეორე ზემოთ, მესამემ სარკმლიდან გამოყო თავი და ხელები — ასეთი იყო რაზმის საწყისი პოზიცია.

„ლოკომოტივი" — „დინამოს" პირველი ტაიმი იყო, როცა დინამოელი დავით გიგაურის დარტყმა არაზუსტი გამოდგა და ბურთი თხრილში გადავარდა. იქ ჩასაფრებულმა ბიჭმა მარჯვედ მოიგდო ბურთი, თხრილიდან ამოძვრა და როცა სტადიონის ტრიბუნიდან დაუყვირეს, არც მაშინ უმტყუნა ნერვებმა, სარკმელში გამაგრებულ თანამზრახველს უზუსტესად გადააწოდა და მანაც ბურთი გაიტაცა — მეპასე და მათი კიდევ ერთი ამფსონი კი იმ სარკმლიდან გაიძურწნენ.

## დიახ, დიახ, სოხუმი უეფაზე



„ამერი" — „სოხუმის" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმარი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გოჩა ჟორჟოლიანმა მადლობა გადაუხადა გუნდს თავდადებული თამაშისთვის და დაამატა, დარჩენილ ოთხ ტურში ბოლომდე ვიბრძოლებთ უმაღლეს ლიგაში დასარჩენადო. ვთქვათ, შეინარჩუნოს კიდეც „სოხუმმა" ადგილი. გამუდმებით უსახსროდ ყოფნა და სულ გადარჩენისთვის ბრძოლა ხეირს ვერც ფეხბურთელებს დააყრის და ვერც ზოგადად ქართულ ფეხბურთს. ეს სოხუმელთა თავკაცმაც ჩინებულად უწყის და ალბათ იმიტომაც თქვა, თუკი უმაღლესში დავრჩით, მომავალ სეზონში უეფას თასის საგზურის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთო.

კლუბს საკუთარი მოედანი არ გააჩნია და მის დასაქირავებლად საჭირო სახსრები რომ დაზოგოს, მეტოქეებს საშინაო მატჩების გამართვასაც მათსავე მოედანზე სთავაზობს. ასეთ პირობებში ძნელი წარმოსადგენია, როგორ აპირებს „სოხუმი" თუნდაც ლიცენზირების გავლას. უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლა კი დღევანდელი გადასახედიდან სუპერფანტასტიკის სფეროდ მოჩანს.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

## გატყდა! მარგალიტი სპარტაკისგან...

**ქართულ** ფეხბურთში მოტრიალე ერთ პიროვნებას არაერთხელ უთქვამს, სანამ ჩვენი ჩემპიონატის მატჩებს უცხოურ ტოტალიზატორებში არ შეიტანენ, დონე არ აიწევსო. ეს კი, მაგრამ რომელ ტოტალიზატორშია შესატანი ის თამაშები, რომლებიც უიოლესი გამოსაცნობია? აგერ, ბოლო რამდენიმე ტურში ყველა მომგები იგებდა, ყველა წამგები აგებდა და, მეფსონეების ენაზე რომ ვთქვათ, არც ერთი თამაში არ „ტყდებოდა".

მხოლოდ გუშინწინ მოხდა სასწაული: აუტსაიდერმა და გავარდნას შეგუებულმა, თეთრებს დანატრებულმა „სპარტაკმა" მეოთხეადგილოსან „ბორჯომს" მოუგო და ევროთასზე გასვლის შანსები გვარიანად შეუმცირა.

ჰო, ასეთი „მარგალიტიც" გამოჩნდა და, როგორ და რანაირად, ეს ცალკე სათქმელია... ფაქტია, „სპარტაკს" 25 მატჩში ოდენ ექვსი გოლი ჰქონდა გატანილი, გუშინწინ კი ერთბაშად სამი შეაგდო.

### დარჩენილი ტურები

**XXVII ტური**

22 აპრილი, შაბათი

სპარტაკი – ამერი
ბორჯომი – სიონი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო
ზესტაფონი – ბათუმი
თბილისი – კოლხეთი
დინამო – დილა
ცხინვალი – ლოკომოტივი
კახეთი – სოხუმი

**XXVIII ტური**

29 აპრილი, შაბათი

ამერი – კახეთი
სოხუმი – თბილისი
კოლხეთი – ზესტაფონი
ბათუმი – დინამო
დილა – ცხინვალი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ბორჯომი
სიონი – სპარტაკი

**XXIX ტური**

6 მაისი, შაბათი

სიონი – ამერი
სპარტაკი – ტორპედო
ბორჯომი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – დილა
ცხინვალი – ბათუმი
დინამო – კოლხეთი
თბილისი – კახეთი
ზესტაფონი – სოხუმი

**XXX ტური**

9 მაისი, სამშაბათი

ამერი – თბილისი
კოლხეთი – ცხინვალი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – ბორჯომი
ტორპედო – სიონი
კახეთი – ზესტაფონი
სოხუმი – დინამო
ლოკომოტივი – სპარტაკი

### სიმბოლური ნაკრები

გივი ოძროშიაშვილი – სპარტაკი
გრიგოლ იმედაძე – ზესტაფონი
მიხეილ ხუციშვილი – სიონი
ლადო ბურდული – დინამო
ლევან კორღალიძე – ტორპედო
მიხეილ ლობჟანიძე – სპარტაკი
ლევან ხმალაძე – სიონი
დავით ძიძვეიშვილი – სიონი
ლაშა ჯანგიძე – სპარტაკი
ვლადიმერ უგრეხელიძე – სიონი
ალექსი ლაძაძე – სპარტაკი

გუნდი: სიონი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 13-იოსანიძე | ზესტაფონი |
| მიქუჩაძე | სიონი |
| 12-მეგრელაძე | დინამო |
| დვალი | სიონი /დინამო |
| 10-ბობოხიძე | დინამო |
| 9-დოლიძე | სიონი /ამერი |
| დავითაშვილი | ამერი |
| სულთანიშვილი | დილა /ცხინვალი |
| იმედაძე | ზესტაფონი |
| დვალიშვილი | დინამო/ბათუმი |
| ხანიშვილი | დილა /ცხინვალი |

# სიონის დიდი თვალები: ვხედავთ ოქროს, გადავხედავთ კონტრაქტს

## კახა ცხადაძემ პირობას გადააჭარბა



**გუშინწინ ბოლნისის „სიონმა" გუნდის ისტორიაში ალბათ ყველაზე პრინციპული და მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისკენ იმხელა ნაბიჯი გადადგა, ვეჭვობთ, დარჩენილ ოთხ ტურში ერთადერთ კონკურენტს ექვსქულიანი უპირატესობა დაუთმოს. ბოლნისელთა ეს ერთადერთი კონკურენტი კი, სწორედ ის „ვიტ ჯორჯიაა", რომელიც „სიონმა" გუშინწინ დაამარცხა. მოკლედ, ქვეყანა თუ არ დაიქცა, საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება — ბოლნისის „სიონი", ხოლო მწვრთნელი კახა ცხადაძე ამ უპირველეს ტიტულს ზედიზედ მეორედ მოიხვეჭს. შარშან მან თბილისის „დინამოს" მოაგებინა ჩემპიონატი, წლეულს კი, „დინამოდან" დათხოვილი, „სიონს" მიუძღვის პირველობისკენ...**

— ჯერ ჩემპიონები არ ვართ, ოთხი ტურია კიდევ სათამაშო და მოდუნების უფლება არ გვაქვს. ძალიან რთული მატჩები კი მოვიგიეთ, მაგრამ მაინც მძიმე კალენდარი გვაქვს — გვითხრა გუშინ კახა ცხადაძემ — დარჩენილი ოთხი შეხვედრიდან ვერც ერთს გამოვარჩევ, ოთხივეში მაქსიმუმი უნდა გავიღოთ, თორემ შესაძლოა, მთელი ნაჯაფი წყალში ჩაგვეყაროს. მაგალითი აგერ, წინა ტურში იყო, ყველასთვის მოულოდნელად „სპარტაკმა" „ბორჯომს" მოუგო. მომდევნო მატჩი კი ჩვენ სწორედ ბორჯომში გვაქვს.

**— როცა „სიონი" ჩაიბარეთ, ელოდით, რომ ასეთი შედეგი გექნებოდათ?**

— ჩემსა და „სიონს" შორის კონტრაქტში წერია, რომ გუნდმა წლეულს ევროსარბიელზე თამაშის უფლება უნდა მოიპოვოს. ეს არის კლუბის ხელმძღვანელობის მოთხოვნა.

**— შეიძლება ითქვას, საკონტრაქტო პირობას გადაჭარბებით ასრულებთ?**

— ძალიანაც კარგი, ასე თუ იქნება.

**— თანაც თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩიც გელით...**

— „ამერთან" ბოლნისური მატჩის შემდეგაც ვთქვი, რომ ფინალში გასვლის შანსები ორივე გუნდს თანაბარი აქვს. 2 მაისს რომელი გუნდიც უკეთ იქნება მზად, ის გაიმარჯვებს. კალენდარი კი ისეა გადატვირთული, როგორ ფიზიკურ ფორმაში შევხვდებით მატჩს მეტოქეები, ძნელი სათქმელია. თუმცა ამ მხრივ „ამერს" მცირე უპირატესობა აქვს, მათ ჩემპიონატში, ფაქტობრივად, საქმე მოამთავრეს, ახლა კი მთელი ყურადღება თასზე აქვთ გადატანილი და შესაძლოა, ჩვენთან მატჩისას უფრო დასვენებულები იყვნენ.

**— ევროსარბიელზე, ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი იქნება თუ უეფას თასის, წლეულს უეჭველად ითამაშებთ. გუნდის გადახალისებას არ აპირებთ?**

— ეს ძალიან სერიოზული საკითხია. სეზონის დასრულებისთანავე „სიონის" რამდენიმე ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდება და გვსურს, რომ საკონტრაქტო სისტემა მოვაწესრიგოთ და ფეხბურთელებს ექვსთვიანი და ერთწლიანი ხელშეკრულებების ნაცვლად გრძელვადიანი კონტრაქტები გავუფორმოთ. აუცილებელია გუნდის გაძლიერება, ახლების დამატება, თორემ 11-15 ფეხბურთელით შორს ვერ წახვალ. გუნდში კონკურენცია და ორი თანაბარძალოვანი შემადგენლობა უნდა იყოს. მოკლედ, ევროპაში თამაშამდე „სიონის" დაკომპლექტება აუცილებელია.

**— ისე, საინტერესოა, რომ დღევანდელი „სიონის" რამდენიმე ფეხბურთელი თბილისის „დინამოდან" თავის დროზე თქვენ გაანათხოვრეთ. ახლა კი საჩემპიონო შედეგამდე სწორედ მათთან ერთად მიდიხართ...**

— ამიტომაც ვთქვი, გუნდში კონკურენცია უნდა იყოს-მეთქი. ხმალაძეს, დვალს, ქუცურუასა და კვიტაიშვილს სათამაშო პრაქტიკა „დინამოში" რომ არ დაჰკლებოდათ, ვურჩიე, სხვა გუნდში ეთამაშათ. „დინამოში" მაშინ დიდი კონკურენცია იყო. ამ ფეხბურთელებმა კი პრაქტიკა მიიღეს და ახლა ფაქტია, რომ მომატებული აქვთ. დრომ გვიჩვენა, ამ ფეხბურთელებს მაშინ სწორი რჩევა მივეცი.

**— საქართველოს ჩემპიონატის დონეს როგორ შეაფასებდით?**

— რა გითხრათ, ჩვენ რომ გვინდა, ისეთი დონე, რა თქმა უნდა, არ არის. თუმცა თითქმის ყოველ ტურში ერთი გამორჩეული მატჩი მაინც არის. რამდენიმე გუნდს კი დღეს ელემენტარული სავარჯიშო პირობები არ აქვს, ფეხბურთელები გასახდელებშიც ვერ შედიან და, ცხადია, ასეთი გუნდების თამაშიც უხარისხოა.

**— რომელიმე გუნდისგან რაიმე თუ გაგიკვირდათ?**

— „ზესტაფონია" კარგად დაკომპლექტებული და ეს თამაშზეც აისახება. დიდი იმედგაცრუება კი თბილისის „დინამოსგან" მივიღე. ვფიქრობ, ყველა ქომაგი გაკვირვებულია „დინამოს" წარუმატებლობით.

**— „სიონში" მუშაობისას უკვე ორჯერ გაგაძევეს მოედნიდან...**

— პირველი გაძევებისას ნერვები მართლა ვერ მოვთოკე, ემოციებს ავყევი და არბიტრმაც არ დამინდო. აი, „დინამოსთან" თამაშის შემდეგ კი მართლაც გაკვირვებული დავრჩი. მატჩის დელეგატს პატაკში ჩემ უსაქციელობაზე არაფერი ჩაუწერია, ორი დღის შემდეგ კი რატომღაც დისკვალიფიკაცია მომცეს. ჩემი დასჯის საკითხი ერთ საათში მოაგვარეს, დელეგატი დაიბარეს, ისაუბრეს და „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩსაც ტრიბუნიდან მაყურებინეს.

**— ფიქრობთ, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა?**

— ყოველ შემთხვევაში, მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, რომლებმაც მატჩამდელი დავალება თითქმის უშეცდომოდ შეასრულეს. ჩვენ „ვიტ ჯორჯიას" თამაში დეტალურად გვქონდა შესწავლილი და შედეგიც მივიღეთ. ვიცოდით, რომ მეტოქის ძლიერი მხარე სტანდარტული მდგომარეობები იყო, ვიცოდით, შეტევა როდის საიდან წამოგვეწყო... მოკლედ, „ვიტ ჯორჯია" ბოლომდე შევისწავლეთ და ვფიქრობ, დამსახურებულადაც მოვიგეთ.

**ქობა ინასარიძე**

# ადრე გერმანიას ვინ გვაღირსებდა?!

## ალექსანდრე იაშვილი: ფრაიბურგი მაინც ბჟუტავს



**ბოლო 13 წელიწადში „ფრაიბურგი" მხოლოდ მეორე სეზონს ატარებს მეორე ბუნდესლიგაში. პირველად „ქართველების გუნდი" 5 წლის წინ გავარდა და მომდევნო სეზონშივე დაბრუნდა ელიტაში, თუმცა ამჯერად ძალიან გაუჭირდება იგივეს გაკეთება — ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაი" მეორე ბუნდესლიგის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მეექვსე ადგილზეა და შვიდი ქულით ჩამორჩება მესამეადგილოსანს, ანუ შანსები, რა თქმა უნდა, ძალიან მცირეა...**

— ფაქტია, მდგომარეობა ძალიან გავირთულეთ და უკვე მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული ბუნდესლიგაში გადასვლა — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა, რომელსაც გუშინ გერმანიაში დავუკავშირდით — იმედი ჯერ არ გადამწურვია, კვირას მესამეადგილოსანი „კოტბუსი" „ფიურტს" სტუმრად ეთამაშება და თუ წააგო, სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდება, ოღონდ ჩვენ ყველა დარჩენილი მატჩი უნდა მოვიგოთ.

**— „ფრაიბურგს" არც ისე იოლი კალენდარი აქვს...**

— ეგრეა. გერმანიაში უმოტივაციო თამაშები არ არსებობს, სეზონის ბოლოა და აუტსაიდერებიც თითო ქულისთვის გამწარებულები იბრძვიან.

**— ბოლოს სტუმრად როდის მოიგეთ, აღარც გვახსოვს. „ფრაიბურგი" გასვლაზე დაკომპლექსებული ხომ არ თამაშობს?**

— ეგაა ჩვენი მთავარი მინუსი. საშინაო თამაშების მიხედვით, მეორე ბუნდესლიგაში ლიდერები ვართ, მაგრამ წლეულს სტუმრად ერთხელაც ვერ ვიმარჯვეთ. არადა, ბუნდესლიგაში გადასვლა თუ გინდა, გასვლაზე, სულ მცირე, ხუთი თამაში მაინც უნდა მოიგო. არ ვიცი, ასეთი წარუმატებლობა რას დავაბრალო. ერთადერთი გუნდი „ბოხუმია", პირწმინდად რომ გვაჯობა თამაშით, თორემ უკლებლივ ყველა სხვა მეტოქესთან უპირატესობა გვქონდა, მაგრამ... ფეხბურთში მთავარი შედეგია...

**— „მიუნხენთან" გატანილი შენი გოლი გერმანიაში მარტის საუკეთესო გოლობაზე წარადგინეს. გამოკითხვა არ დასრულებულა?**

— ჯერ არა, გულშემატკივართა ხმის მიცემა ახლაც მიმდინარეობს და მგონი, ერთ კვირაში გამოცხადდება გამარჯვებული.

**— „ფრაიბურგთან" კონტრაქტი 2007 წლის ზაფხულამდე გაქვს და თუ ბუნდესლიგაში ვერ გადახვედით, მაინც დარჩები გუნდში? წინადადებები არ გაქვს?**

— ჯერ მაგაზე არ ვფიქრობ. სეზონის ბოლოა, შანსი კიდევ დაგვრჩა და ვნახოთ...

**— მართალია, ბევრ საგოლე პასს აკეთებ, მაგრამ თავდამსხმელისთვის საკმაოდ ცოტა გოლი გაქვს. ამ სეზონს შენთვის ჩაგდებულად თვლი?**

— ჩაგდებული მაშინ იქნება, თუ „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში ვერ გადავა. თუ მოხდა და, უძლიერესებში ავინაცვლეთ, სეზონს წარმატებულს დავარქმევ. რა აზრი აქვს, ვინ რამდენი გოლი გაიტანა — მთავარია, გუნდმა მიზანს მიაღწიოს.

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი შენი და ოთარ ხიზანეიშვილის თამაშს არ დასწრებია?**

— არ ვიცი. შესაძლოა, დაესწრო, მაგრამ მე არ მინახავს. ტელეფონით კი რამდენჯერმე მესაუბრა. მასზე ახალი რა უნდა ვთქვა: ყველამ იცის, რა დონის მწვრთნელია

— აბა, როდესმე ვიფიქრებდით, რომ საქართველოს ნაკრებს გერმანიასთან მოუწევდა ამხანაგურად შეხვედრა?!

**ილია ნანობაშვილი**

ნდობის ტელეფონი
(18 წლიდან)
(822) 42-55-44 ქალაქიდან და ჯერ...
822 006 005 | მობილურებიდან
822 006 099
„მაგთი", „ჯეოსელი" -1ლ
თბილისი - 0,65 ლ

# ფოთში არ ღელავს ზღვა, საფიქრალია სხვა

## პილპილიანი იდეა: გამოვაცხადოთ ტენდერი საქართველოს ჩემპიონობაზე



*ქართულ ფეხბურთში გარიგებული მატჩებზე ყოველთვის ლაპარაკობდნენ და მითქმა-მოთქმა ახლაც საკმაოა. ამ ყველაფერზე გაზეთებში ადრეც არაერთხელ დაწერილა, ახლა კი პირველად იყო, როცა გაზეთმა „სპორტმა“ კონკრეტული თანხის დასახელებით მიიტანა ეჭვი „კოლხეთ“ — „ამერის“ სათასო მატჩზე.*

*ცხადია, ასეთი რამ უყურადღებოდ ვერ დარჩებოდა და ჩვენც ჟურნალისტური მოკვლევა დავიწყეთ. ცხელ კვალზე ჯერ ის ხალხი გამოვკითხეთ, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონდა ამ გახმაურებულ მატჩთან*

სანამ მოკვლევის პირველ ეტაპზე კლუბების ხელმძღვანელებს, მსაჯებს, მატჩზე დამსწრე ჟურნალისტებსა და ოფიციალურ პირებს გავესაუბრებოდით, პირველ რიგში ხსენებული წერილის ავტორს დავუკავშირდით და ასეთი პასუხი მივიღეთ: „მე „კოლხეთ“ — „ამერის“ თამაშს არ დავსწრებივარ, მაგრამ მატჩის შემდგომ დღეებში მომიწია ფოთში ყოფნამ და ქალაქში გავრცელებული ხმები ასეთი იყო: „ამერმა“ ფული ჩამოიტანა და „კოლხეთმა“ არ აიღოო. ამას ლაპარაკობდა ფოთის მოსახლეობა, გულშემატკივრები. ეს ხმები მარტო ჩემამდე არ მოსულა, საკმაოდ გახმაურდა“.

გამოდის, რომ გარიგების თაობაზე კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს და სტატიის დაწერის საბაბი ფოთის მოსახლეობასა და გულშემატკივრებში მოარული ხმები გახდა. თანაც ისიც საინტერესოა, თუ „კოლხეთმა“ ფული არ აიღო, მატჩი ჩაწყობილი როგორღა იყო?!

ჩვენც ავდექით და მოკვლევის მეორე ეტაპი მოარული ხმების ეპიცენტრად შერაცხულ ფოთში ჩავატარეთ. საამისოდ დროც შესაფერისი შევარჩიეთ: საქართველოს ჩემპიონატის 26-ე ტურის „კოლხეთი“ — „კახეთის“ გუშინწინდელი მატჩი. სხვა თუ არაფერი, ფოთელ გულშემატკივრებში მოარული ხმების მოსასმენად უკეთეს ადგილს სად ვიპოვიდით...

ფოთში გამთენიისას ჩავედი და მატჩამდე საკმაო დრო მქონდა გახმაურებული ამბის გასარკვევად. თბილისისა არ იყოს, ფოთის სკვერებშიც დილიდანვე იწყებენ თავშეყრას და დროს დომინოს, ნარდისა და ჭადრაკის თამაშით კლავენ. როცა გაიგეს, რის გამოც ვიყავი ჩასული, მხრები აიჩეჩეს — ეგეთი რამე არ გაგვიგიაო. ჩაწყობილ თამაშებზე რამდენიც გინდა, გვსმენია, მაგრამ „კოლხეთი“ — „ამერი“ გარიგებული იყო, ან ჩვენებმა თბილისელების ფულზე უარი თქვეს, პირველად გვესმისო.

გახმაურებულ ამბავზე რაიმე ხელჩასაჭიდის გაგება ვერც 9 აპრილის სახელობის ხეივანში შევძელი. ხეივნის გასწვრივ ჩამწკრივებული ბინების ეზოებში ყოველთვის ხალხმრავლობაა, მაგრამ „ბირჟაზე“ არც „ამერის“ ფულზე უარის თქმის და არც ჩაწყობის თაობაზე არაფერი იცოდნენ.

...მატჩის დაწყების დროც ახლოვდებოდა და, რომ მეგონა, სტადიონზე მისვლამდე მეტს ვერაფერს გავიგებ-მეთქი, სრულიად შემთხვევით მაღაზიაში ასე, 60 წლის ჭაღარა კაცი გამომელაპარაკა. *თამაზ სორდია* ვარ, მცირე ბიზნესი მაქვს და „კოლხეთის“ სტაჟიანი გულშემატკივარი ვარ — ასე გამეცნო.

როგორც აღმოჩნდა, ეს კაცი მაღაზიის წინ ჩემი და ერთ-ერთი ფოთელის დიალოგს ისმენდა და მაღაზიაში თავისი აზრის სათქმელად მიხმო, მერე კი სტადიონზე ერთად წავედით.

„როგორც გავიგე, „კოლხეთი“ — „ამერის“ მატჩის გამო ხარ ჩამოსული, მეც გავიგე, რომ თითქოს თბილისელებს ჩვენებისთვის ფული შეუთავაზებიათ და ამათ არ აულიათ. ოღონდ ეს ფოთელებისგან კი არა, გაზეთიდან ვიცი. ფეხბურთი ძალიან მიყვარს, რაც საქართველოს ჩემპიონატი ტარდება, „კოლხეთის“ საშინაო მატჩები თითზე ჩამოსათვლელი თუ გამიცდენია. ჩაწყობილი თამაშიც მინახავს და ნამდვილი ომიც. „კოლხეთი“ — „ამერს“ ჩაწყობისა ნაღდად არაფერი ეტყობოდა. ასე ვფიქრობ და რა ვქნა?! თუ ასე იყო, აღარ ყოფილა საშველი და ეგაა. რამდენიმე წლის წინ ინტერტოტოს თასზე ფრანგული „გენგამი“ იყო ჩამოსული. მას შემდეგ ფოთში „ამერივით“ ჩაცმულ-დახურული და ორგანიზებული გუნდი არ მინახავს, სპორტულ გაზეთებს ვკითხულობ და ვიცი, „ამერს“ მოვლა-პატრონობა არ აკლია და თუ ასეთ პირობებში ამ გაძვალტყავებულ „კოლხეთს“ მოსყიდვის გარეშე ვერ უგებენ, აზრი არ ჰქონია არც ჩემპიონატს და არც არაფერს. მაშინ სჯობს, ჩემპიონატის დაწყების წინ ტენდერი ჩავატაროთ და ვინც მეტს გადაიხდის, იმას მივცეთ ჩემპიონობა. ეგებ დანარჩენი თამაშები მაინც გახდეს ალალი და საინტერესო“.

ამ მონოლოგით სტადიონსაც მივუახლოვდით. მატჩის დაწყებამდე ორიოდ წუთი რჩებოდა, მაგრამ ტრიბუნაზე კანტიკუნტად ისხდნენ გულშემატკივრები. დიდი-დიდი, ორასამდე კაცი ყოფილიყო. სანამ გულშემატკივარს გამოვკითხავდით, მანამდე „კოლხეთის“ პრეზიდენტ *მერაბ ასანიძეს* გავესაუბრეთ...

**— სანამ პრესაში დაიწერებოდა მატჩის შესაძლო გარიგების თაობაზე, ამის შესახებ რაიმე ხმები გსმენიათ?**

— არა, საერთოდ არაფერი გამიგია. არადა, ფოთი პატარა ქალაქია, უმნიშვნელო ჭორიც კი თვალის დახამხამებაში ვრცელდება. მინიშნება მაინც რომ გაგვეგო, სასწრაფოდ დავიწყებდი ძიებას, მაგრამ მსგავსი არავის არაფერი უთქვამს. ფოთში ადგილობრივი გაზეთები და ტელევიზია ოპერატიულად აშუქებენ მოვლენებს. ასეთი ჭორი რომ ყოფილიყო, მერწმუნეთ, მათ ვერავინ დაასწრებდა და კომენტარისთვის მაინც მოვიდოდნენ ჩემთან.

**— იქნებ არ გაახმაურეს?**

— გამორიცხულია. ვიცი მათი მუშაობის სტილი და მერწმუნეთ, ასეთი ამბავი რომ გაეგოთ, არ მიჩქმალავდნენ.

**— მაინც რა საფუძველი უნდა ჰქონდეს იმ ეჭვებს, რაც „კოლხეთი“ — „ამერის“ მატჩის შემდეგ გამოითქვა?**

— რა გიპასუხოთ, არ ვიცი. დარწმუნებული ვარ, თასის ნახევარფინალში გასვლით ჩვენთვის ასე ნანატრ ინვესტორებს დავაინტერესებდით, ახლა კი მათთან მოლაპარაკება გვარიანად გართულდება. ის თანხა, რაც სტატიაშია დასახელებული, კოლოსალურია. 20 ათასი დოლარი ჩვენი გუნდის ექვსი-შვიდი თვის ხელფასია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამხელა თანხის შეთავაზება არარეალურია.

კლუბის პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ ტრიბუნებზე მჯდომ გულშემატკივრებსაც ვკითხე, იცოდნენ თუ არა რაიმე გარიგებაზე...

*თამაზ დოლია, ფოთის პორტის ჰიდროგრაფი.* „პირველად მესმის, რომ „ამერი“ ჩვენების მოსყიდვას ცდილობდა. „კოლხეთს“ ახლა ჩავარდნა აქვს, მაგრამ მომავლის იმედს არ ვკარგავთ და არა მგონია, ასეთ რამეზე წავიდეს“.

*პაატა თუნთია, უმუშევარი.* „ეს ამბავი გაზეთიდან გავიგე. არც სხვა გულშემატკივრებისგან და არც ქალაქში მსმენია რაიმე. მე თუ მკითხავთ, „კოლხეთი“ ახლა ისეთ დღეშია, თუ გარიგებაზე მიდგა საქმე, თამაში კი არ უნდა გაყიდოს, პირიქით, უნდა იყიდოს“.

*გია გამაზარდია, ინჟინერი.* „შეიძლება, სხვამ გაიგო რამე, მაგრამ მე თქვენგან პირველად მესმის, რომ „კოლხეთმა“ „ამერთან“ ძალით წააგო ან ფული არ აიღო. ისე, თუ „ამერი“ მართლა სთავაზობდა ფულს, მაშინ „კოლხეთის“ უფროსობას უნდა ეყვირა, თამაშის ჩაწყობა უნდათო. მე ვიყავი იმ თამაშზე და საეჭვო არაფერი შემინიშნავს“.

**ბაჩო სვანიძე ფოთიდან**



# ლოკომოტივმა ესპანეთში არნახული ნახა

**თბილისის** „ლოკომოტივის“ 1990 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდმა ესპანეთში გამართულ პრესტიჟულ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ეს ტურნირი ბარსელონიდან 70 კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ ლორეს დე-მარიში ჩატარდა და 32-მა გუნდმა მოსინჯა ძალა, რომელთა შორის ბრაზილიის, საფრანგეთის, ესპანეთის და მექსიკის ნაკრებები, ასევე „ბარსელონა“, „ვალენსია“, „პორტუ“, „ინტერი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და სხვები იყვნენ.

„ლოკომოტივს“ გიორგი კიკნაძე წვრთნის, რომელმაც დეტალურად მოგვითხრო ამ ტურნირის თაობაზე: „32 გუნდი 8 ჯგუფად განაწილდა. ჯგუფში ორი კატალონიური გუნდი და მექსიკის ნაკრები გვყავდა — ერთ-ერთ კატალონიურ კლუბს 2:0 მოვუგეთ, მეორესთან 2:3 წავაგეთ, ხოლო მექსიკელებთან 0:5 დავმარცხდით და მომდევნო ეტაპზე ველარ გავედით. ტურნირი კი ბრაზილიის ნაკრებმა მოიგო. ასეთი პრესტიჟული ტურნირი ჩვენთვის მართლაც დიდი სკოლა იყო. ამას გარდა, ორი ამხანაგური მატჩიც ვითამაშეთ: „ესპანიოლთან“ 2:3 წავაგეთ, „ტარაგონასთან“ კი 3:0 გავიმარჯვეთ“.

გიორგი კიკნაძეს ლევან ყენიაზეც შევეკითხეთ. გეცოდინებათ, ეს ბიჭი 15 წლისაა, ამ ტურნირშიც ითამაშა და მანამდე „ბარსელონაშიც“ იყო ათდღიან სტაჟირებაზე. არაა გამორიცხული, ყენია კიდევ წავიდეს „ბარსას“ ჭაბუკთა გუნდში სტაჟირებაზე, მან ძალიან ძლიერად ითამაშა ლორეს დე-მარიში და ყველას მოაწონა თავი, გვითხრა კიკნაძემ. შეგახსენებთ, ყენია „ლოკომოტივის“ ძირითადი გუნდის ფეხბურთელია.

**ილია ნანობაშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა





AFP ლონდონიდან

# ფენოვანი თავდაცვა ჰაიბერიზე
## ცალი იმედი მადრიგალზე მოკვდება

**არსენალი (ინგლისი) 1:0 ვილიარეალი (ესპანეთი)**

1:0 ტურე (41)
არსენალი: ლემანი, ებუ, ტურე, სენდეროსი, ფლამინი, გლები (ბერხკამპი 80), ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, პირესი, ლიუნგბერგი (ვან პერსი 81), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ვილიარეალი: ბარბოსა, ხავი ვენტა, კიკე ალვარესი, არზო, არუაბარენა, სენა, ტაკინარდი, სორინი (ხოსიკო 73), რიკელმე, ფორლანი (კალეხა 90), ხოსე მარი (გ. ფრანკო 55)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: არზო (3), რიკელმე (45), ტაკინარდი (59), ფრანკო (88), კიკე ალვარესი (89)
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
38 500 მაყურებელი

„**არსენალისა**“ და „ვილიარეალის“ შეხვედრა ისე დასრულდა, რომ საპასუხო მატჩის წინ ორივე მხარეს დაუტოვა იმედის მარცვალი. ვფიქრობთ, ამ იმედს ორივე გუნდი იმსახურებდა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში პირველად გასულ მეტოქეებს შორის ხომ ნამდვილი ბრძოლა გაიმართა, სიტყვა ბრძოლის პირვანდელი მნიშვნელობით. ესპანელებმა კარგად იცოდნენ სწრაფ, კომბინაციურ გუნდს რომ სტუმრობდნენ, რომელიც „ჰაიბერის“ სპეციფიურ, პატარა მოედანზე ბოლო ევრომატჩს თამაშობდა და ამას მრავალშრიანი, მრავალფენიანი, ღონიერი, მეტოქის ნახევრიდან დაწყებული თავგანწირული დაცვა დაუპირისპირეს. შეტევასთან ერთად, მეტოქისთვის ცენტრშივე ბურთის ართმევას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა „არსენალმაც“ და ამიტომაც გამოვიდა შეხვედრა იმაზე ნაკლებად ლაღი, ამავე მეტოქეების შესრულებით სხვა ვითარებაში რომ შეიძლებოდა ყოფილიყო.

„გამარჯვებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეტი გოლის გატანა შეგვეძლო — თქვა პრესკონფერენციაზე არსენ ვენგერმა — საკუთარი კარის დაცვა და იმავდროულად შეტევა ძნელად შესასრულებელი ამოცანაა. მერედა, მეტოქემ შესანიშნავად ითამაშა, რის გამოც მატჩის სადავეები ბოლომდე ვერ ჩავიგდეთ ხელში“.

„ვილიარეალის“ მწვრთნელი მანუელ პელეგრინი: „კარგად არ გვითამაშია, მაგრამ ცუდი შედეგიც არ მიგვიღია. მწამს, შინ გავიმარჯვებთ, დღეს კი მატჩის სადავეები ჩვენ არ გვეპყრა, რადგან „არსენალმა“ ითამაშა კარგად“.

„ჰაიბერიზე“ გამართულ შეხვედრაში ორი საკამათო ეპიზოდი იყო. ერთი გახლდათ ტიერი ანრის გოლი, რომელიც მსაჯმა ფრედერიკ ლიუნგბერგის ოფსაიდის გამო არ ჩათვალა და მეორე გახლდათ საპენალტე სიტუაცია ლონდონელთა კართან. რა შეიძლება ითქვას ამ ორ მომენტზე? ალბათ ის, რომ გოლის ჩათვლაც შეიძლებოდა და პენალტის დანიშვნაც.

„უკმაყოფილო ვარ იმით, რომ პენალტი გვეკუთვნოდა და არ მოგვცეს. მსაჯი ამ საღამოს მთლად კარგ ფორმაში არ იყო“ — გამოეხმაურა არბიტრის თემას პელეგრინი.

ტიერი ანრიმ კი პირველი თამაშის შედეგი იმაზე უფრო ოპტიმისტურად შეაფასა, ვიდრე კაცმა 1:0 შეიძლება შეაფასოს.

„დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ, ვინაიდან გოლი არ გაგვიშვია. იმედი მაქვს საპასუხო შეხვედრაში „ვილიარეალი“ შეგვიტევს, ჩვენ კი კონტრშეტევაზე თამაში უკეთ გვეხერხება. ფინალზე ფიქრი ჯერ ადრეა, ჯერ ნახევარფინალში გვაქვს საქმე გასაკეთებელი“ — თქვა მან.

**პაპუნა ქედია**



არსენ ვენგერი და „ტოტენჰემის“ მწვრთნელი მარტინ იოლი

# უეფა სულელია?

„**ტოტენჰემ ჰოთსპური**“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ერთ უცნაურ წესს აპროტესტებს და მისი შეცვლისთვის ბრძოლას აპირებს. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ თუკი „ტოტენჰემი“ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გავა, ხოლო „არსენალი“ ჩემპიონთა თასს მოიგებს, მომავალ ლიგაში კვლავ „არსენალი“ მოხვდება.

ხსენებული გუნდები ერთმანეთს ხვალ ხვდებიან, დღეს კი ცხრილში ასეთი ვითარებაა: „ტოტენჰემი“ „არსენალზე“ ოთხი ქულით წინ არის. მოკლედ, ერთი შეხედვით, გადამწყვეტი მატჩი ჩანს, რომლისთვისაც მეტოქეები წესით თავგადაკლულნი უნდა მოემზადონ, მაგრამ ვაგლახ. რისთვის ემზადება „არსენალი“ ყველასთვის კარგადაა ცნობილი — „ვილიარეალთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩისთვის, „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ კი ცოტა შესუსტებული შემადგენლობითაც კი აპირებს მოედანზე გასვლას, ხალხს ასვენებს.

როგორც „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, ამასთან დაკავშირებით „ტოტენჰემმა“ უეფაში საჩივარი გააგზავნა და უარყოფითი პასუხიც მიიღო.

„წესი შარშანაა მიღებული და ახლა რომ შევცვალოთ, სულელები გამოვჩნდებით“ — განაცხადა უეფას საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორმა უილიამ გეილარდმა.

**პაპუნა ქედია**

# ბალაკი გერმანული ტელევიზორიდან გაყიდეს

**მიხაელ ბალაკმა** ლონდონის „ჩელსისთან“ წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა — გერმანულ **ZDF**-ზე გუშინ თქვეს, რომ „ბაიერნის“ ამჟამინდელი ვარსკვლავი ოთხ სეზონს ლონდონურ კლუბში გაატარებს. ბალაკს „ბაიერნთან“ კონტრაქტი ამ ზაფხულს უმთავრდება და ხელშეკრულების გახანგრძლივებას ინგლისში გადაბარგება ამჯობინაო.

„ჩელსის“ გერმანიის ნაკრების კაპიტნის შეძენა კარგა ხანია, სურდა, თუმც ბალაკზე პრეტენზიას ესპანური გრანდები, „ბარსელონა“ და „რეალი“ აცხადებდნენ. თავად გერმანელმა აბრამოვიჩის გუნდთან მოლაპარაკების შესახებ გასულ კვირას ამცნო მსოფლიოს, მაშინ, როცა ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია მოაწყო.

გერმანულ გაზეთებში კი ნათქვამია, რომ მიხაელ ბალაკის „ჩელსიში“ გადასვლა ფეხბურთელის ოფიციალურმა სპონსორმა ფირმა „ადიდასმა“ დააჩქარა. ვინძლო, „ადიდასისთვის“ თავისი პარტნიორის პრემიერლიგის გიგანტში გადაბარგება ფინანსურად უფრო მომგებიანი იყოს. ასევე შეიძლება, ბალაკის გზას „მილანის“ უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკოც დაადგეს — სლავსაც „ადიდასი“ სპონსორობს და აბრამოვიჩიც დაინტერესებულია მისი შეძენით.

მიხაელ ბალაკმა კი **ZDF**-ის ნათქვამს მონაჩმახი უწოდა.

**ლადო ხომერიკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

E ჯგუფი

**იტალია, განა, აშშ, ჩეხეთი**

# პაპა კარელის შვილიშვილები



კარელ ბრიუკნერი

**ჩეხეთი** მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საფეხბურთო ქვეყანაა. კარელ ბრიუკნერის გუნდი ახლაც სერიოზულ ძალას წარმოადგენს. ჩეხოსლოვაკიამ 1934 და 1962 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს უწია, პირველად იტალიასთან დამარცხდა, მეორედ — ბრაზილიასთან.

გერმანიაში მოხვედრა ჩეხებს საკმაოდ გაუჭირდათ. შესარჩევ ჯგუფში 5 ქულით ჩამორჩნენ პირველადგილოსან ჰოლანდიას, ხოლო ორით რუმინეთს გაუსწრეს. თუმცა პლეი ოფში დამაჯერებლად და უპრობლემოდ სძლიეს ნორვეგიას. ბრიუკნერის შეგირდებმა ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 1:0 მოიგეს.

* * *

*მწვრთნელი:* კარელ ბრიუკნერი 1939 წლის 13 ნოემბერს ოლომოუცში დაიბადა. წვრთნიდა ადგილობრივ „სიგმას“, უმუშავია ბრატისლავის „ინტერში“ და ჩეხურ „დრნოვიცეში“. ამ კლუბებში კარგი ტაქტიკოსისი სახელი დაიგდო. მერე ჩააბარეს ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრები, სადაც საკმაო წარმატებით იმუშავა. 2001 წლის დეკემბერში დაინიშნა ეროვნული ნაკრების თავკაცად და ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოცდილებთან „შეზავებით“ ძალიან ძლიერი გუნდი შეკრა. მის ხელში ნაკრებს ოცმატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა, რომელიც 2004 წლის მარტში ირლანდიასთან შეწყდა.

* * *

*კაპიტანი:* ტომაშ გალაშეკი გამოცდილი, საიმედო ფეხბურთელია. ნახევარმცველებს თამამად შეუძლიათ შეტევებში ჩართვა, გალაშეკი კი ძირითადად მეტოქის იერიშების ჩაშლითაა დაკავებული და ეს ჩინებულად გამოსდის. იგი 1973 წლის 15 იანვარს ოსტრავაში დაიბადა. კარიერა იქაურ კლუბ „ბანიკში“ დაიწყო. 1997 წელს ჰოლანდიურ „ტილბურგში“ გადავიდა, ხოლო 2000 წელს „აიაქსმა“ იყიდა და დღემდე ამსტერდამელთა ერთ-ერთი ლიდერია.

* * *

*შესარჩევი ეტაპის ვარსკვლავი:* ტომაშ როსიცკი, რომელსაც გოლები თავადაც გაჰქონდა და თანაგუნდელებსაც ჩინებული პასებით ამარაგებდა. ჩეხთა პლეიმეიკერი 1980 წლის 4 ოქტომბერს პრაღაში დაიბადა. პროფესიული კარიერა 1998 წელს „სპარტაში“ დაიწყო და მალევე მიიპყრო ევროპული გრანდების ყურადღება, მაგრამ მოულოდნელად, 2001 წელს „დორტმუნდში“ აღმოჩნდა. დიდი ხანია, როსიცკის „რეალი“ „არსენალი“, „ჩელსი“, „ტოტენჰემი“ და სხვა კლუბები უტრიალებენ. თანაც წასვლაზე უკვე თავადაც საუბრობს. ასე რომ, სეზონის ბოლოს „დორტმუნდს“ მისი შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ამჟამად კონკრეტულ მსურველი მადრიდის „ატლეტიკოა“. თავად ფეხბურთელმა კი თქვა, რომ ლონდონის „არსენალში“ გადასვლა და ტიერი ანრისთან ერთად თამაში სურს.

* * *

*ახლანდელი ვარსკვლავი:* უგმოცდილესი და ამჟამად ყველაზე სახელოვანი ჩეხი, გუნდის ლიდერი პაველ ნედვედი. დაუღალავი ნახევარმცველი, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოთა შორის ადგილი. ყველგან, სადაც უთამაშია, მებრძოლი ხასიათის გამო ლიდერი ხდებოდა.

იგი 1972 წლის 30 აგვისტოს ხებში დაიბადა. კარიერა პრაღის „დუკლაში“ დაიწყო 1991 წელს და პირველი სეზონის შემდეგ „სპარტაში“ გადავიდა. იქ 1996 წლამდე თამაშობდა ანუ იქამდე, სანამ ევრო 96-ზე სახელს გაითქვამდა (ჩეხები ფინალში გერმანიასთან დამარცხდნენ) და რომის „ლაციო“ იყიდიდა. „ლაციალეში“ 5 წარმატებული სეზონი ჩაატარა და 2001 წელს 41,2 მილიონი ევროს სანაცვლოდ „იუვენტუსში“ გადავიდა. ტურინელები მას ზინედინ ზიდანის შემცვლელად მიიჩნევდნენ და არც შემცდარან, იგი დღემდე „ბებერი ქალბატონის“ ლიდერია. მის ტიტულებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ 2003 წელს მოპოვებული „ოქროს ბურთი“ აუცილებლად უნდა ვახსენოთ.

ჩეხეთის ნაკრებში 73 მატჩი ითამაშა და 18 გოლი გაიტანა. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბერძნებთან ნახევარფინალში მიღებული ტრავმისა და დასანანი მარცხის შემდეგ ნედვედმა სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა, თუმცა ქომაგებისა და მწვრთნელის თხოვნით 2005 წლის ნოემბერში ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა და ნორვეგიასთან პლეი ოფში დაეხმარა. კარიერის დასრულების შემდეგ ჩეხეთში საფეხბურთო აკადემიის გახსნას აპირებს.

* * *

*ლეგენდა:* 1931 წლის 9 თებერვალს მოცში დაბადებულმა იოზეფ მასოპუსტმა 1962 წელს ბრწყინვალე თამაშით ეროვნული ნაკრები მუნდიალის ფინალში გაიყვანა, სადაც ჩეხებმა ვერ შეძლეს გარინჩას ბრაზილიის დამარცხება. იმავე წელს მან „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ მიიღო. 2004 წელს იგი ჩეხეთის ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეროვნულ ნაკრებში 63 მატჩში 10 გოლი გაუტანია, ხოლო საკლუბო კარიერა პრაღის „დუკლაში“ გაატარა.




პაველ ნედვედი




ტომაშ როსიცკი

* * *

\+ გუნდში ბევრი შემქმნელი ფეხბურთელია. შესარჩევ ეტაპზე ჩეხებმა ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს. თანაც ჰყავთ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე პეტრ ჩეხი.

* * *

— არასტაბილურობა. ხშირად ძალიან ძლიერი გუნდი, რომელიც დაუმარცხებლად გამოიყურება, სასურველი შედეგის მიღწევას ვერ ახერხებს.

* * *

*აზრი:* „ჩეხეთი თითქმის ყოველთვის ჩრდილში იყო და წარმატებას ბევრისთვის მოულოდნელად აღწევდა. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩვენ ფავორიტებად მიგვიჩნევენ. ამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი ერთად ნაკრებში არასდროს ყოფილა და ბრიუკნერიც იმ დონის მწვრთნელია, რომ რაღაც დიდის იმედი უნდა გვქონდეს“ — პეტრ ნოსალეკი, ჟურნალისტი.

### ჩეხეთის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 12 ივნისი | აშშ — ჩეხეთი | გელზენკირხენი |
| 17 ივნისი | ჩეხეთი — განა | კიოლნი |
| 22 ივნისი | ჩეხეთი — იტალია | ჰამბურგი |

### ჩეხეთის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 08.09.2004 | ჰოლანდია — ჩეხეთი | 2:0 |
| 09.10.2004 | ჩეხეთი — რუმინეთი | 1:0 |
| 13.10.2004 | სომხეთი — ჩეხეთი | 0:3 |
| 17.11.2004 | მაკედონია — ჩეხეთი | 0:2 |
| 26.03.2005 | ჩეხეთი — ფინეთი | 4:3 |
| 30.03.2005 | ანდორა — ჩეხეთი | 0:4 |
| 04.06.2005 | ჩეხეთი — ანდორა | 8:1 |
| 08.06.2005 | ჩეხეთი — მაკედონია | 6:1 |
| 03.09.2005 | რუმინეთი — ჩეხეთი | 2:0 |
| 07.09.2005 | ჩეხეთი — სომხეთი | 4:1 |
| 08.10.2005 | ჩეხეთი — ჰოლანდია | 0:2 |
| 12.10.2005 | ფინეთი — ჩეხეთი | 0:3 |

#### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 12 | 10 | 2 | 0 | 27:3 | 32 |
| ჩეხეთი | 12 | 9 | 0 | 3 | 35:12 | 27 |
| რუმინეთი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:10 | 25 |
| ფინეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 21:19 | 16 |
| მაკედონია | 12 | 2 | 3 | 7 | 11:24 | 9 |
| სომხეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 9:25 | 7 |
| ანდორა | 12 | 1 | 2 | 9 | 4:34 | 5 |

#### პლეი ოფი

| | | |
|---|---|---|
| 12.11.2005 | ნორვეგია — ჩეხეთი | 0:1 |
| 16.11.2005 | ჩეხეთი — ნორვეგია | 1:0 |

# ადრიანოს საგვიანო დარდი

„ინტერის“ ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ თავის კლუბზე გაბრაზებული სიტყვები თქვა და „შავ-ლურჯთა“ ბანაკს მისადმი უპატივცემულობაში დასდო ბრალი.

„როდესაც ფეხბურთელს უჭირს, კლუბმა იგი საჯაროდ უნდა დაიცვას, „ინტერმა“ კი ჩემდამი უპატივცემულობა გამოავლინა. კარგ ფორმაში რომ ვიყავი, მთხოვდნენ, კლუბზე კარგად მელაპარაკა და მეც ვასრულებდი ამ თხოვნას, ახლა კი, ხელმძღვანელთაგან ჩემ დასაცავად ორი სიტყვა ვერავინ გაიმეტა“.

ადრიანოს „ინტერის“ ქომაგები ადრე „იმპერატორეს“ ეძახდნენ, მაგრამ ამ სეზონში პირადი პრობლემის გამო ფორვარდს საქმე ცუდად წაუვიდა. რაც 2006 წელი დაიწყო, მან მხოლოდ ოთხი გოლის გატანას მოაბა თავი და ფანებისა თუ კლუბის ხელმძღვანელთა კრიტიკამაც არ დააგვიანა.

„თანაგუნდელებთან პრობლემა არ მაქვს, ურთიერთობა კლუბთან დამეძაბა — განაგრძობს ადრიანო — გუნდი აგებს და ყველაფრის ერთი ფეხბურთელისთვის დაბრალებას ცდილობენ. ასეთი თავდასხმებისგან თავის დასაცავად რაიმე დამუშავებული მექანიზმი უნდა არსებობდეს. ჟურნალისტებსაც ერთ ფეხ-



ადრიანო და ვერონი გაიბუტნენ

ბურთელზე სჭირდებათ ყურადღების გამახვილება, ასეთ პირობებში თამაში კი ძნელია. „ინტერმა“ პრესის კრიტიკას ვერ გაუძლო და განტევების ვაცად მე შემარჩია“.

როდესაც ადრიანოსა და მის პრობლემებზე ლაპარაკობენ, აუცილებლად ახსენებენ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ვილიარეალთან“ შეხვედრის შესვენებისას „ინტერის“ გასახდელში ამტყდარ ჩხუბს, რომელშიც თურმე ადრიანო და არგენტინელი ხუან ვერონი მონაწილეობდნენ.

ადრიანო იმეორებს: „თანაგუნდელებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ჩვენ ერთმანეთს დილა მშვიდობისას და საღამო მშვიდობისას ვეუბნებით. მართალია, ვერონს არ ველაპარაკები, მაგრამ დანარჩენებთან კარგად ვარ. სირთულეები კი, თავს რომ დამატყდა, მხოლოდ ჩემი გადასატანია. იმასაც კი ამბობენ, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მიმყავარ, მაგრამ კარლოს ალბერტო პარეირას ჩემთვის ასეთი რამ არასდროს უთქვამს. „ინტერის“ მხარდაჭერა კი ნამდვილად მჭირდებოდა, მაგრამ ვერ ვღირსე“.

ამბობენ იმასაც, რომ ადრიანოს მწვრთნელთან, რობერტო მანჩინისთანაც გაურთულდა ურთიერთობა.

„ყველა ხედავს, როგორი თავგამოდებითაც ვთამაშობ. „ვილიარეალთან“ და „მილანთან“ ასი პროცენტითაც კი არ ვიყავი მზად, მაგრამ მწვრთნელმა ძირითადში დამაყენა და სრულყოფილი შეტევა დამავალა. ახლა გეკითხებით, თუ კი ადამიანი ჯანზე ვერ არის, როგორ შეიძლება ასეთი რამ დაავალო?“

მოკლედ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადრიანოს „ინტერში“ მართლა აღარ დაედგომება. დადის ხმები, რომ მის შეძენას „ჩელსი“ და „რეალი“ ლამობენ, მაგრამ მოდი, წერილის ბოლოს ერთხელაც წავიკითხოთ, რას ამბობს თავად თავდამსხმელი:

„ერთადერთი, რაც აქ მაჩერებს, პრეზიდენტი მასიმო მორატია. ეს ადამიანი ყოველთვის გვერდში მედგა. კიდევ, თავმოყვარეობის ამბავია, მინდა, მომავალში „ინტერს“ სკუდეტო მოვაგებინო“.

**პაპუნა ძიდია**

# მაქსიმალური როდრიგესი

## დღეს გვაგინეთ, ხვალ ჩემპიონები გავხდებით



